გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. ტრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

**ნინო ივანეს ასული და ნიკოლოოზ ოქროპირის ძე ალავიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი—მეუღლისა და მეორე—ძმისა თვისისა 150 ტამანის პოლკის **პოდპოლკოვნიკის ნოშრევან ოქროპირის ძის ალავიძისას** და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ სადგომიდამ, რომელიც იმყოფება დიდ წყლის საზიდ ქუჩაზედ (Большая Водовозная улица), სახლი № 24, ოთხშაბათს, 23 ივნისს, დილის 11 საათზედ. (1—1)

## ორის პროექტის გამო.

კახეთის თავად-აზნაურობამ მშვენიერი მაგალითი დაანახვა დანარჩენ ქართველებს და იმოდენად წინად მომზადებული იყო თავისითვე ამ საუცხოვო მაგალითის საჩვენებლად, რომ საკმარისი შეიქმნა მხოლოდ რამდენიმე საათი, რათა შეკრებულს თელავში და გურჯაანში საზოგადოებას გაეგო და გადაეწყვიტა ორი დიდი საშვილიშვილო საქმე.

პირველი დაარსებაა ვენახის პატრონთა საზოგადოებისა და მეორე—თავად-აზნაურთათვის საზოგადო კაპიტალის შედგენა.

ვენახის პატრონთა საზოგადოება დაარსდა იმ განზრახვით, რომ ღვინის მუშტარს წმინდა კახური ყოვლად შეურეველი ღვინო მიაწოდოს და ღვინის პატრონს საკმაო სავსებით თავისი სათვალური აღებინოს. ამ დიდა აზრზეა დაფუძნებული პროექტი ამ საზოგადოების წესდებისა, რომელშიაც თვითვეული მუხლი ამ აზრს აქვს შეფერებული. პროექტში სხვათა შორის მოხსენებულია, რომ წევრი საზოგადოებისა მოვალეა მთელი თავისი ღვინო ჩააბაროს ამ საზოგადოებას გასასყიდად, გარდა იმ ნაწილისა, რაც საშინაოდ საჭირო იქმნება. ჩაბარებისვე უმალ საზოგადოებისაგან მიიღებს ერთს მესამედს იმისას, რამოდენადაც დაფასებული იქმნება მიღებული ღვინო.

ცოტაოდენი ლაპარაკი გამოიწვია სწორედ ამ გარემოებამ, რომ ღვინის პატრონთ წინ და წინ ღვინის საფასის მხოლოდ მესამედი შეუძლიანთ მიიღონ. ამაზედ ზოგიერთნი ამბობდნენ: ეს ისეთი დაბრკოლებაა, რომ ჩვენს შინაგანს ანგარიშებს და სხვა-და-სხვა ნატვირთს შინაურსვე მოვალეობას ხელს ვერ შეუწყობსო, თუ ფული სრულად ვერ მივიღეთ ღვინის ჩაბარებისათანავეო.

მაგრამ, ვამბობ, ეს მხოლოდ მოსაზრებად იყო წამოყენებული, რომლის აცილება სურდათ ღვინის პატრონთა და არა ისეთ რამედ, რომელსაც ძალ-ედვა პროექტის შეუწყნარებლობა. კახეთის თავად-აზნაურობას კარგათ შეუგნია, თუ შეერთებული ღონე რა არის თითოეულის კეთილ დღეობისათვის, და მხოლოდ ამ მიზეზს უნდა მივაწეროთ, რომ ისეთი დიდი საქმე, როგორც ახალი საზოგადოების დაარსებაა, დღეს თითქმის მოხერხდა.

ასე ძირეულად შეცვლა ქვეყნის ჩვეულებისა და წესწყობილებისა, ნამეტურ ისეთის საგნისა, რომელზედაც დამოკიდებულია თითოეულის ცხოვრება—რადგანაც კახეთში ღვინო ერთად-ერთი ღონეა ცხოვრებისა—ადვილი საქმე როდია. ბევრგან, ასეთს ახალ გზაზედ დადგომას მთელი წლები მოუნდება და საზოგადოება მაინც ვერ სთანხმდება, თუმცა დარწმუნებულია, რომ აზრი საჭირო და სასარგებლო არის. ასეთს მდგომარეობაშია დასავლეთ საქართველოში სიმინდისა და ქვაგუნდის მწარმოებელთა საქმეც და სხვა ამისთანანი.

ვერც სიმინდის და ვერც ქვაგუნდის პატრონთ ამდენს ხანს ვერ მოუხერხებიათ, რომ საზოგადოება შეადგინონ და მთელი მოგება, რომელსაც დღეს წვრილმანი ვაჭრები და ჩარჩები იდებენ ჯიბეში, თითონ გაინაწილონ. ამ ნაირის უთანხმოებით, იმერეთს ყოველ წელს იქნება რამდენიმე მილიონი აკლდება.

დასავლეთის ქართველებმა, გვგონია, ჯერ ვერ შეიგნეს, რომ ერთობა—ძლიერება არის და ამისთვის იქ ყოველს საზოგადო საქმეში ზოგი აღმა მიდის და ზოგი დაღმა.

გარდა იმისა, რომ კახეთის თავად-აზნაურობას კარგად ჰქონია შეთვისებული საერთო მოქმედების მნიშვნელობა, უნდა დავსძინოთ ისიც, რომ მაინც ყოველს საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მეთაურობას და თავის გამოდებას. კახეთს, როგორც დავრწმუნდით ჩვენ თითონ, ჰყოლია ამისთანა მეთაურები და მხოლოდ იმათის გავლენითა და თავ-გამოდებით აიხსნება ის ერთსულობა კახელთა, რომელიც კახელებმა ამ საზოგადო საქმეში გამოიჩინეს.

მეველე

## ახალი ამბავი

*** სოფლის მასწავლებელთ, კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხიდამ მოწვეულთ ქ. ტფილისს ყაჭის მოყვანის და სხვა სოფელში გამოსადეგ საქმეთა შესასწავლად, აგრონომი ყალანთარი 18 ივნისიდგან უკითხავს ლექციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა საქონლის მოვლა-მოშენება და რა გვარად შეიძლება წველი სწარმოებდეს, რომ მეტი სარგებლობა მისცეს ოჯახს.

სულ 21 სოფლის მასწავლებელია ამ ჟამად ტფილისში, მათში 6 ქართველი.

*** 21 ივნისს ტფილისში უეცრად გარდაიცვალა კავკასიის შეიხ-ულ-ისლამი ახუნდ-მირზა-ჰასან თაიროვი, რომელიც წინად გორის საოსტატო სემინარიაში იყო მასწავლებლად მუსულმანთა სამღრთო წერილისა და 1885 წლიდგან დაინიშნა შეიხ-ულ-ისლამად მუსულმანთა, შიას სარწმუნოების მთავარ-მოძღვრად და სასულიერო ვამგეობის თავმჯდომარედ.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში 21 და 22 ივნისს დანიშნული იყო საჯაროდ გასასყიდად ქალაქისა და სოფლის მამულები. ქალაქის მამული გასასყიდად ჩავარდა მარტო ათი და გაიყიდა რვა, დარჩა გაუყიდავი ორი მამული. სოფლის მამული გასასყიდად ჩავარდა მარტო ათი, ამათგან გაიყიდა 3, დარჩა 5 მამული. 21 და 22 ივნისს დარჩენილი გაუყიდავი მამულები დანიშნულნი არიან ხელმეორედ გასასყიდად 7 ივლისისთვის.

*** ხარკოვის საპატიმროში სახადი გაჩენილა და ამის გამო კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილიდგან პატიმართა გაგზავნა ხარკოვზედ შეაჩერეს, ვიდრე მოარული არ მოისპობა.

*** ჩვენა გვთხოვენ ქალაქის გამგეობის ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ დილით 4—6 საათზედ ქალაქში არც ერთი ეტლი არ იშოვება, რაც უნდა გაჭირვებული იყოს კაცი. დაწესებულა, რომ რამდენიმე ეტლი უნდა იდგეს ღამე დანიშნულ ადგილზედ, მაგრამ ამ დაწესებულებას არავინ ასრულებს თურმე.

*** პოლიციის ცნობებიდამა სჩანს, რომ წარსულ 1892 წლის განმავლობაში შემდეგი ავ-კაცობა ჩაუდენიათ ქ. ტფილისში: ქურდობა და კარების გატეხვა 310, საქურდლად მისვლა 25, ძარცვა 9, მატყუვრობა 12, საძარცვავად დამზადება 2, მაწანწალობა 8, მკვლელობის განზრახვა 5, იარაღით დაჭრა 44, მკვლელობა 12, თავის კვლა 30, თავის მოკვლის განზრახვა 14, საწამლავის მიღება 6, ძალ-მომრეობით ქალის შეურაცხყოფა 4, სოდომის ცოდვა 17, ცეცხლის წაკიდება 1, ბავშვის გადაგდება 47 და უბაშფორთოდ სიარული 779.

*** ბაქოს სადგურს აუღია მაისის განმავლობაში მოგზაურთა ბილეთებისა და ყველანაირ ბარგის და საქონლის გასაგზავნი 251,313 მან. და 2 კაპ..

*** შარშან სად. აბაშას ახლო ტყეში იპოვეს ტყვიითა და ხანჯლით მოკლული მალაქია ბესელია. მისმა დედ-მამამ ეჭვი მიიტანა ხარაზ ივანე ჩემიასა და მის ქარგალ თოფურიაზედ; მკვლელობის მიზეზად ისა სთქვეს, რომ ჩვენს რძალს კეკეს, ჩემიას დას, თავისი ქმარი, ჩვენი შვილი, არ უყვარდა და ვითომ ქმრის სიკვდილის შემდეგ თავის საყვარელს ეგნატე სულავას უნდა მისთხოვებოდა. ამის გამო სისხლის სამართალში იყვნენ მიცემულნი ჩემია და თოფურია, როგორც მკვლელნი, და სულავა, როგორც წამქეზებული; ხოლო მოკლულის ცოლის წინააღმდეგ არავითარი გამამტყუნებელი სა-

---

# ფელეტონი

## ხვნა-თესვისა და მეურნეობის საქმე ინგლისში

(წერილი პირველი)

თქვენ გინდათ იცოდეთ ჩვენის ხვნა-თესვისა და მეურნეობის ამბავი? მკითხა ამას წინად ერთმა ინგლისელმა აგრონომმა, ავტორმა სხვა-და-სხვა შესანიშნავის წერილებისა, რომელიც იბეჭდება ერთს ინგლისურს სამეურნეო ჟურნალში.—ან-კი რა გითხრა პასუხად?.. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მიწის შემუშავება უკან-უკან მიდის წლითი-წლობით; ნახნავ-ნათესი საკვირველის სისწრაფით ცოტავდება, კლებულობს; სოფლები ცარიელდება... არ წაგიკითხავთ პატარა წიგნი „ცხოვრება ჩვენებურის სოფლისა“, დაბეჭდილი „Daily News“-ის რედაქციის მიერ? თუ წაგიკითხავთ, გეცოდინებათ, რომ ახალგაზდობა და მთლად ის ხალხი, რომელსაც შნო აქვს შრომისა და გარჯისა, ქალაქ ადგილებს ეტანება და გაურბის სოფლის ცხოვრებას, გაურბის საშინელსა და მძიმე, უმადურს შრომასა.

— სწორედ მოგახსენოთ, არ მესმის, რა უნდა იყოს მიზეზი სოფლის აგრე გაუდაბნოებისა. დავიჯეროთ, აქაო და მოდათ შემოუღიათ მდიდარ მემამულე ლენდ-ლორდებსა და ჯენტორებს*) სახნავ სათესი სანადირო ტყეთ ვაქციოთო, ეგ საკმაოა, რომ ხალხი თითქმის მილიონობით თავს ანებებდეს მამა-პაპითვე შეჩვეულს სოფლურ ცხოვრებასა?

— დიაღაც, საკმაო არ არის, მიპასუხა ინგლისელმა. მიზეზი ეგ-კი არ არის; მიზეზი ის არის, რომ ძირიან-ფესვიანად შეიცვალა თვით წესი ხვნა-თესვისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ მამულის შემუშავებისა. მართლა სულელები ხომ არ არიან ჩვენი მიწათმფლობელნი რომ გაატყემინდორონ ის მამულები, რომელიც კარგს შემოსავალს მისცემთ? აი, მაგალითად, ლორდი სალისბერი ძრიელ მდიდარი კაცია ინგლისში და თან კარგი მემამულეც გახლავთ. მთელი ერთი უბანი ლონდონისა იმისია. იქა აქვს მრავალი სახლები მუშა ხალხისათვის. სწორედ ბუდეა ის უბანი დიდის სილატაკისა. სახლები ლორდისა ისეთს მდგომარეობაშია, რომ სანიტართა კომიტეტმა მოახსენა ქალაქის საბჭოს, ხალხის სიკეთისათვის, ღარიბთა უშიშრად საყოფელად საჭიროა მაგ ქოხ-მახების დაქცევა, რადგან მომჭირნე მოურავნი ლორდ სალისბერისა გროშს არა ჰხარჯვენ მათ სასარგებლოდაო. სასამართლომ ჯარიმა გადაუწყვიტა კეთილშობილ ლორდის მამულების გამგებელთ, ანუ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, თვითონ ლორდს... და აი სწორედ ამ იოლიანმა მამულის პატრონმა, დიდ ნასწავლმა კაცმა და ჩვენის კონსერვატორების მეთაურმა, რომელსაც თავისებურად უყვარს სამშობლო და მემამულეთა ინტერესები, უარი უთხრა ფერმერებს მიწას ველარ გახვნევინებთო და თავისი სახნავ-სათესი მამულები გაამინდვრა, გაამყამირა, სანადირო ჭალებად გადააქცია და იჯარით აძლევს ლონდონის ყასაბ-ბაყალთა სხვა-და-სხვა კლუბებს...

საქმე იმაშია, რომ ხვნა-თესვა, ბოსტან-მებაღობა, ასე გასინჯეთ, მაშინაც-კი, როცა მამული კეთდება ყოველის ღონისძიებით, სასუქი არ აკლია და მაშინებიც-კია ხმარებაში, იმის მეოთხედსაც აღარ იძლევა, რასაც იძლევა ახალის წესით შემუშავებული მამული. ეხლა ისეთი ახალი წესი შემოდის მეურნეობაში მამულის მოვლისა, რომ გასაჭირი ის-კი აღარ არის, რომ ვითომ მიწები ნაკლებადა გვაქვს, როგორც ჰფიქრობდნენ ამ ათის წლის წინად და როგორც ჰფიქრობს უმრავლესობა დღესაც... არა, მამული იმდენი გვაქვს, რომ თუნდა ას მილიონ ხალხს ეყოფა... რაო? არა გჯერათ და ჰკუაში არ მოგდით? იქნება არა გჯეროდეთ, მაგრამ ნამდვილს ჭეშმარიტებას-კი მოგახსენებთ, თორემ აი ეხლა თქვენ თითონვე დარწმუნდებით. დაუჯერებელი და საკვირველი უფრო ის არის, რომ ახალი, განკარგებული წესები შემოიღეს არა სწავლულებმა და თეორიით განვითარებულმა აგრონომებმა, არამედ მდაბიო და ყველგან მივიწყებულმა ასმა და ათასმა მუშა-კაცებმა. დიაღაც, რომ ჩვენ დიდად დავალებულნი ვართ ლიბიხისა და მის მიმდევართაგან... მაგრამ მაინცა და მაინც ჭეშმარიტი გზა სიმდიდრისა და ბედნიერების მოსაპოვებლად გვი-

*) ჯენტორი სოფლის თავად-აზნაურობას ეწოდება.

ავტ.

ბუთი არ ალმოჩნდა და არც სამარ-თალში მისცეს.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია ეს საქმე და სამთავე ბრალ-დებულს კატორღაში გაგზავნა მიუ-საჯა. დამნაშავენი ამ განაჩენს არ დაეთანხმნენ და პალატას აპელაცია მიართვეს და მცველად ნაფიცი ვე-ქილი ოპოჩინინი აიჩინეს.

პალატამ განიხილა ეს საქმე 16 ივნისს და სამივე დამნაშავე გაამარ-თლა.

** სოფ. აბისი (გორის მაზრა): ამ თვის 10 ერთი სამწუხარო ამბა-ვი მოხდა აქ. აზ. ოქრ. წ—ლს და-უწვა პატარა ყმაწვილი ერთის წლი-სა. დედა გარედ გამოსულიყო ერთს წუთას. ფეხ-ადგმულს ბავშვს ბუ-ხრიდამ ცეცხლი წაჰკიდებოდა. შევარდა დედა, მაგრამ ველარაფერი ველარა უშველა-რა თურმე, ისე თავ-ზარი დასცა ცეცხლ-წაკიდებულის ყმაწვილის დანახვამ. მორთო მხო-ლოდ ყვირილი, მაგრამ, ვიდრე მე-ზობლები მიეშველებოდნენ, ბავშვს სული შემოეწვა პერანგი და პატარა-ხანს უკან თითონაც დაიწვა.

[illegible]ესებმა გაგვიკვირეს საქმე. ერთს [illegible]ნელს მემამულეს აგერ მერამდე-ნედ მოუვიდა წერილი მუქარისა, [illegible]ლი გამოგვიგზავნე, თორემ სულ [illegible]ლებთ ერთიანადაო. მემამულე [illegible]ს შიშსა და საფრთხეშია და ხალხს [illegible] იშორებს სახლიდამ, მართლა [illegible]პომიცვივდნენ ეგ ვილაც თავზედ [illegible]-ალებულნი არიანო. აცნობა კი-[illegible] მაზრის უფროსს ეს ამბავი. აც-[illegible] აგრეთვე ცნინვალისა და სუ-[illegible]ს ბოქაულებს.

---

## უმწიფე იმპერატორის ბრძანე-ბა საიმპერატორო კარის მინის-ტრისადმი

ვუბოძეთ-რა ჩვენს საყვარელს [illegible]ლს მის იმპერატორებითს უმა-ღლესობას დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს საჩუქრად, საუ-კუნოდ და საშვილიშვილოდ, ჩვენ მიერ ჩვენ სახელობაზედ საკუთრე-ბად შეძენილი მამული ტაინის სოვე-ტნიკის ადოლფ ალექსანდრეს ძის რე-მერტისაგან, ტფილისის გუბერნიაში, ახალციხის მაზრასა, დაბა აბასთუ-მანს, ზომით 7514 კვად. საჟ., და მის გვერდით მდებარე მეორე მა-მული, ტფილისის ვაჭარის ქრისტე-ფორე ივანეს ძის კილიტჩევისაგან, ზომით 800 კვად. საჟენი, ორივე მამული 8314 კვად. საჟენი ყვე-ლა ამ მამულებზედ აგებულ შენო-ბებით და მოძრავ ქონებით,—გიბრ-ძანებთ მოახდინოთ ამა ჩვენის სურ-ვილის ალსასრულებლად ჯეროვანი განკარგულება.

ნამდვილზედ საკუთარის მის იმპე-რატორებითის უდიდებულესობის ხე-ლით აწერია:

ალექსანდრე

გატჩინო
27 მაისს, 1893 წელს.

---

## სასულიერო მთავრობის განკა-რგულებანი

უწმიდესის სინოდის ამ 1893 წლის 19—28 აპრილის მე-942 №-რის გან-კარგულებით დადგენილია: სასულიერო სემინარიებში სახელმწიფო ხარჯით მყოფ მოწაფეების სამსახური სასულიე-რო სემინარიებისა და სასწავლებლების ზედამხედველის თანამდებობაში, თუ ვი-ნიცობაა სასულიერო უწყებას თავი და-ანებებს და სამოქალაქო სამსახურში გადავიდნენ, უნდა შეუთანასწორდეს პირ-ველ დასაწყისს საერო და საეკკლესიო სამრევლო სასწავლებლების მასწავლე-ბელთა სამსახურს იმავე საფუძვლით, რომელიც დადგენილია უწმიდესის სი-ნოდის 1878 წლის 25 მაისის—8 ივლისის განკარგულებაში, ესე იგი, ისე რომ ყოველ წლის სამსახური ზედამ-ხედველის თანამდებობაზედ იანგარიშე-ბოდეს ორის წლის ყოფნად სემინარიის ხარჯზედ.

---

## სასმელებით ვაჭრობა.

გამოცხადებულია ახალი კანონი, რომლის ძალითაც დასჯილ უნდა იქმ-ნან დამრღვევნი სასმელით ვაჭრობის დებულებისა.

ვინც გაჰყიდის სასმელს იმ პირო-ბით, რომ მყიდველმა მომავალ მოსა-ვლით გარდაუხადოს, ანუ დაიგირა-ვებს ტანთსაცმელს, ჰურჭელს ანუ სხვა ნივთს; ვინც გარდასცვლის სას-მელს პურზე და სხვა სოფლის ნაწა-რმოებზედ, ანუ ვალს ფულის მა-გიერ სასმლით გარდაიხდის,—დას-ჯილ იქმნება: პირველად დაპატიმ-რებით არა უმეტეს ორის კვირისა, ანუ ჯარიმა გარდახდება არა უმეტეს 50 მანათისა; მეორედ—დაპატიმრე-ბით არა უმეტეს ერთის თთვისა, ანუ ჯარიმა გარდახდება არა უმეტეს ასის მანათისა. როდესაც მეორე დანაშაუ-ლი დაჰბრალდება სასმელებით მოვა-ჭრეს, მაშინ პატენტიც ჩამოერთმევა. უკეთუ სავაჭრო დუქანი გაალო პა-ტრონმა იმ დროს, როცა ეს აკრძა-ლულია, ანუ ისეთი გართობა-თამაში გამართა და წესიერება დაარღვია დუქანში, დამნაშავეს პირველად ჯა-რიმა გარდახდება არა უმეტეს 25 მა-ნათისა, მეორედ—არა უმეტეს 50 მ. და მესამედ—არა უმეტეს 100 მანა-თისა; ამასთანავე პატენტიც ჩამოერ-თმევა. უკეთუ ნასვამი კაცი გაქურ-დულ ანუ დაჭრილ იქმნება, ან თა-ვის-თავს თვითონ დაიჭრის, დამნაშა-ვემ, რადგანაც არ გაუფრთხილდა და არ მოუარა, უნდა ზარალი უზღოს და თავის ხარჯით უწამლოს.

იმ საქმეთა განხილვა, რომლებიც ჯარიმის გარდახდით, ანუ სასმელები-სა და სხვა ნივთების წართმევით (кон-фискованіе) თავდება, ადმინისტრა-ციას ექვემდებარება.

---

## ანგარიში

კავკავის ქართულ სკოლისათვის $189^2/_3$ წ.

ყველა საზოგადო საქმე, რომელ-საც სული უდგას საზოგადოების წე-ვრთა შემოწირულების შეოხებით, ყვე-ლა საზოგადო დაწესებულება, რო-მელსაც თავის ხარჯით თვისდა სასა-რგებლოდ ინახავს რამდენიმე წევრი კერძო საზოგადოებისა, ითხოვს ყო-ველთვის სამართლიან ანგარიშს სა-ზოგადოების წინაშე, რომ ყველა წევრს საზოგადოებისას ნათლად შე-ეძლოს დანახვა მისი, თუ რა საქმეს ხმარდება მისი წვლილი, ან რა სარ-გებლობა მოაქვს მას მის მოძმისათ-ვის. ჩვენის აზრით, ურიგო არ იქ-მნებოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადო-ების“ უწყებაში მყოფ სკოლების შე-სახებ მაინც ყოველ წლივ ვრცელი ანგარიში იბეჭდებოდეს გაზეთებში. ანგარიშებიდგან საქვეყნოდ და ნათ-ლად შეიძლება გაიგოს ყველამ, თუ როგორ მიდის ჩვენ სკოლებში სწავ-ლა-განათლების საქმე. მარტო რევი-ზორების მოკლე ანგარიში საკმაო არ არის ამ საქმისათვის—აქ ჩვენ უფრო მოვალედ მიგვაჩნია მასწავლებელი, რომელმაც უნდა მოკლედ უამბოს საზოგადოებას ყველაფერი, თუ რა კე-თდებოდა სასწავლებელში ერთის წლის განმავლობაში. ჩვენ ამ რწმე-ნით ალჭურვილნი ვასრულებთ ამ ჩვენს მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

საანგარიშო წელს კავკავის ქარ-თულ სკოლაში ჯეროვანი სწავლა დაიწყო მხოლოდ ოქტომბრის შუა რიცხვებიდგან. ამის მიზეზი იყო, რო-გორც ხოლერობა, რის გამოც ყმაწ-ვილები გვიან შეიკრიბენ სასწავლე-ბელში, აგრეთვე უფროსის მასწავლე-ბლის გვიან დანიშვნა ხსენებულ სას-წავლებელში „წერა-კითხვის საზოგა-დოების“ გამგეობის-მიერ.

პირველად სკოლაში ახალ შემო-სულებიანად შეიკრიბა ოც-და-თო-თხმეტი ყმაწვილი, შემდეგ ერთის თთვის განმავლობაში მოწაფეთა რი-ცხვმა იმატა 49-მდე. ამათ რიცხვში ერია ათამდის ქალი, რომელიც მხო-ლოდ წელს მივიღეთ სასწავლებელ-ში. წელს სკოლაში შემოსულთა რი-ცხვში ერიენ ისეთებიც, რომელნიც სხვა-და-სხვა რუსულ პირველ და-წყებით სასწავლებლებში იყვნენ, სა-დაც სწავლა გაჭირვებოდათ უდე-დაენოთ. საკვირველიც არ არის. ბევრს აქაურს ქართველს სრულიად არ ესმის აზრი და დანიშნულება ჩვენის სკოლისა, რომელიც სხვათა შორის უადვილებს ქართველ ბავ-შვებს სწავლების საქმეს და ეხმარება აქედგან სხვა-და-სხვა სასწავლებელში გადასვლას. საანგარიშო წლის დამ-ლევს, ე. ი. 15 ივნისისათვის ხსენე-ბულ სასწავლებელში ირიცხებოდა სულ 48 მოწაფე ქალი და ვაჟი. პირველ განყოფილებაში ითვლებო-და 20 მოწაფე ქალებიანად, მეო-რეში მარტო ვაჟები იყვნენ 13. მე-სამეში—8 და მეოთხეში—7 ყმაწვი-ლი.

სწავლა საანგარიშო წელს იმავე პროგრამით და წესით სწარმოებდა როგორიც დადგენილია „წერა-კით-ხვის საზოგადოების“ უწყებაში მყოფ სკოლებისათვის მასწავლებლების კრე-ბისაგან 1887 და 1888 წელს 4 სე-ქტემბერს. სწავლა წარმოებდა სადი-ლობამდის და [illegible] ამ წე-სით: 1 ოქტომბრიდგან 1 [illegible]-მდის სწავლა იწყებოდა დილის $7^1/_2$ და თავდებოდა $10^3/_4$ საათზე. $10^3/_4$— 12 საათამდის დრო დანიშნული იყო გალობისათვის, გიმნასტიკისა თუ თა-მაშობისათვის. 12 საათიდგან შუა-დღის 2 საათამდის ყმაწვილები თავი-სუფალნი იყვნენ და მიდიოდნენ სა-ხლში სადილის საჭმელად. შუადღის 2—5-მდის ისევ სწავლა გრძელდე-ბოდა 15 წუთის დასვენებით. პირ-ველ ნოემბრიდგან პირველ მარტამ-დე სწავლა იწყებოდა 8 საათზე და თავდებოდა $11^1/_4$. $11^1/_4$—12 საა-თამდის დრო ხმარდებოდა გალობას, გიმნასტიკას და თამაშობას. $12^1/_4$— 2 საათამდის ყმაწვილები სადილის საჭმელად მიდიოდნენ სახლში და შუა-დღევის 2—5 საათამდის ხელახლად სწავლა გრძელდება სასწავლებელში. აპრილში სწავლა იწყებოდა $7^1/_2$ სა-ათიდგან, მაისში და ივნისში—7 საათიდგან. ყველა ორის გაკვეთილის შემდეგ ბავშვებს ვაძლევდით ორ-ორ სტაქან ჩაის პურით—პური და შაქარი ზოგს თითონ მოჰქონდათ და, ვინც მეტად ღარიბები იყვნენ, ჩვენ თითონ ვაძლევდით სკოლის ხარჯით.

სადილის შემდეგ გაკვეთილები სა-ზოგადოდ ხმარდებოდა სადილობამ-დის შესწავლილ სასწავლო მასალის კარგად შეთვისებას, გამეორებას, გა-ნმარტებას და განსაკუთრებით შემ-დეგის დღისათვის გაკვეთილების მო-მზადებას მასწავლებლის ზედამხედვე-ლობით, ხელმძღვანელობით.

წვიმიან დღეებში, ანუ საზოგადოდ ცუდ დარებში ყველა საკლასო მეცა-დინეობა თავდებოდა სადილობამდის. ამ შემთხვევაში ყველა გაკვეთილე-ბისათვის დანიშნული იყო სულ $4^1/_2$ ანუ რვა-ნახევარ საათიანი გაკვე-თილები.

სკოლის ეხლანდელ სადგურში, რომელიც სკოლისათვის ყოვლად გამოუსადეგარია, როგორც ჰიგიენუ-რად ისე სხვაფრივადაც, აქაური სა-მზრუნველო კომიტეტი ყოველ წე-ლიწადს იხდის ქირას 400 მანეთს, ამიტომ დიდის სიხარულით და სია-მოვნებით ალვნიშნავთ, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდგან კავკავის ქა-

---

[illegible]ეს სულ მდაბიო და ხშირად წე-რა-კითხვის უცოდინარმა მებოსტნე-ებმა და მებალეებმა ჩვენის კუნძულე-ბის ჯერსეისა, გარნსეისამ, სცილლი-სამ, პარიჟისა, ტრუასა და რუანის მიწად-მოქმედებმა, ფლამანდიის ფერ-მერებმა და ასე გასინჯეთ ლონდო-ნისა და სხვა დიდ ქალაქების მუშა-კაცთა ხიზნებმა.

თეორიით განვითარებულების აზ-რით, უმთავრესი კანონი მეურნეო-ბისა ის არის, რომ დაუბრუნოს მი-წას სასუქის სახით ყოველივე ის, რაც მიგილია მისგან მოსავლით. ეხლა-ნდელმა მუშა მეურნეებმა ეს აზრი ასე შესცვალეს: შეიმუშავე პატარა ნა-ჭერი მიწისა, ხოლო შენ თვითონ კი გაუჩინე მისი ნიადაგიცა და ჰავაც—იმ მცენარეულთათვის, რის მოყვანაც გინდა. და მერე იცით, ამ გზით, რა სასწა-ულები მოახდინეს? ჯერსეიზე, მაგა-ლითად, ერთი მებალე 34 მუშა კა-ცით მხოლოდ 4 ჰექტარ მამულს ამუშავებენ (6 დღიურს). ნიადაგი თი-თქმის კაცის ხელით არის გაჩენილი და მთელს ამ მამულს შუშის ფარ-დული აქვს გადაფარებული. ერთი ნაწილი მამულისა ვენახად არის გა-კეთებული, ხოლო დანარჩენი ბოს-ტნად არის გადაქცეული. სულ მცი-რედი ნაჭერი უჭირავს ორანჟერეი-ებს, სადაც ნახარებია ყვავილები და გადასარგველი ნერგი. ეს 35 კაცი ზამთარ-ზაფხულ მუშაობენ და ორ-ჯელ მოჰყავთ მოსავალი: 1 მაისის-თვის და 1 სექტემბრისთვის. აი რა მოჰყავთ მაისისთვის: ყურძენს ჰკრე-ფენ 1,500 ფუთს, წითელი ბადრი-ჯანი მოჰყავთ 4,250 ფ., კარტოფი-ლი 1,750 ფ., მწვანე მუხუდო 325 ფ., ფრანგული ცერცვი პირ-ველ ხარისხისა 112 ფ. მეორე მო-სავალი რომ არ ვიანგარიშოთ, რო-მელიც თითქმის ერთი მესამედია პირ-ველისა, რომ არ ვიანგარიშოთ აგ-რეთვე შემოსავალი ორანჟერეებისა, გამოვა რომ პირველი მოსავალი შე-ადგენს 7,937 ფუთს ყურძენსა და ბალეულს, რომლის ფასითაც მშვენივ-რად ისაზრდოვებს წლის განმავლო-ბაში (თითო კაცზე რომ დღეში $1^1/_2$ შილინგი *) ჩავაგდოთ საჭმელისათვის) 440 კაცი. და აი ყოველივე ესე მო-ყვანილია და მოწეული 35 მუშა-კა-ცის მიერ 6 დღიურ მიწაზე!..

ეს წესი პატარ-პატარა ნაჭრების შემუშავებისა, შუშის ფარდულებით გადაფარებულებისა, რასაკვირველია, თხოულობს დიდს ხარჯსაც. მაგრამ ხარჯს მალე ინაზღაურებენ. ამისთანა წესი მამულის მოვლისა დღითი დღე უფრო ვრცელდება და მარტო ეს გა-რემოება კმარა, რომ კაცმა დაასკვ-ნას, რა დიდს მოგებასაც იძლევა ამ ნაირად მოვლილი მამული. აი მაგა-ლითიცა, რომელიც თვალ და თვალ დაგვანახვებს, რა სასარგებლოც არის ასე მოვლა მამულისა:

პარიჟს ახლო სცხოვრობს ერთი ნასწავლი მებაღ-მებოსტნე ბ-ნი ბოის-სი, დამწერი წიგნისა „La culture maraichère“ (მებოსტნეობა). იმასა ჰყავს 8 მუშა და უვლის მხოლოდ

*) ჩვენებურად შილინგი 32 კაპ., მაშა-სადამე, $1^1/_2$ შილინგი იქნება 48 კაპ.

რედ.

2 დღის მიწას იმ წესით, რა წესითაც მეურნეობენ ჩვენის კუნძულების ჯერ-სეისა და გერსეის მებოსტნე-მებაღე-ნი. ამ ორ დღიურ მიწაში ის აძლევს იჯარას 2,500 ფრანკს წელიწადში; სასუქისა და პატივისათვის ჰხარჯავს აგრეთვე 2,500 წელიწადში. პირვე-ლად საქმის რიგიანად მოსაწყობად დაჰხარჯა 30,000 ფრანკი. ყოველ წლობით მოჰყავს:

| | |
|---|---|
| 10,000 | კილოგრამი სტაფილო, |
| 10,000 | ხახვი და სხვა მწვანილეუ-ლი, |
| 6,000 | თავი კომბოსტო, |
| 3,000 | ყვავილიანი კომბოსტო, |
| 5,000 | გიდელი წითელი ბადრი-ჯანი, |
| 5,000 | დუჟინი საუკეთესო ხარის-ხის ხილეული, |
| 154,000 | კონა სალათა სხვა და სხვა ხარისხისა... |

ერთის სიტყვით, სულ 125,000 კილოგრამი (6,930 ფუთი) ერთის დესეტინიდამ.

სულ ზედიზედ ფასი 20 სანტიმი რომ ვიანგარიშოთ გირვანქაზე, გა-მოვა 55,440 ფრანკი. გამოვიდეთ აქედამ ხარჯს: 2,500 ფრანკი იჯა-რისა, 2,500 პატივი, 14,000 ფრან-კი მუშებს (5 ფრანკი თითოს დღე-ში). დავუმატოთ კიდევ შუათანა რიც-ხვი ბაჟისა და გარდასახადისა საფ-რანგეთში 44% თანხისა—12,000 ფრანკი და გამოვა, რომ სულ და-ხარჯულა 31,400 ფრანკი ერთს წე-ლიწადს. წმინდა მოგებად რჩება 24,000 ფრანკი წელიწადში. ეს წმინ-და მოგება კიდევაც ძალიან მცირეა იქ, როცა გვერდით აქვს მამულს ისე-თი მდიდარი ქალაქი, როგორიც არის პარიჟი. მაგრამ მაინც საოცარია და დაუჯერებელი, რომ ამოდენა მოსა-ვალი მოვიდეს სულ 2 დღიურს მი-წაზედ. ნამდვილი და ჭეშმარიტი სა-ბუთები რომ არ გვქონდეს ხელში ამის დასამტკიცებლად, ყველა ეჭვს აილებდა და გვეტყოდა, სწორედ ზღაპარია თქვენი ლაპარაკიო. მოსა-ვალი უფრო კიდევ მეტი მოვიდო-და და მოვა კიდეც, თუ მიწის მომ-ქმედმა მოახერხა როგორმე და სა-ხელმწიფო ხარჯი და გარდასახადი შეიმცირა.

W. Yasiani

ლონდონი.

რთული სკოლა გადავა თავის საკუთარ შენობაში, რომლის აგებასაც, ერთი თვეე მეტია, დიდის გულ-მოდგინებით და ბეჯითად შეუდგა აქაური სკოლის კომიტეტი და ზოგი შეძლებული ქართველი, რომელიც არავითარ ღონისძიებას არა ზოგავს არც ფულით და არც მასალის შეწირულებით ამ საქველ-მოქმედო საქმისათვის.

წრევანდელმა სუსხიანმა ზამთარმა და სკოლის შენობის უვარგისობამ ძლიერ ხელი შეუშალა მოწაფეებს სწავლის საქმეში: საკლასო ოთახები რიგიანად ვერ თბებოდა, მოწაფეებსაც დროს შესაფერი ტანისამოსი და ფეხსაცმელი არ ჰქონდათ და ამიტომ იძულებულნი იყვნენ, ავადმყოფობის გამო, გაკვეთილებს დაჰკლებოდნენ—როგორც საკლასო დავთრიდგანა სჩანს I განყოფილებაში მთელ წლის განმავლობაში, დღეში ხუთ-ხუთ გაკვეთილის ანგარიშზე, დაჰკლებიან 1424 გაკვეთილს, მეორეში—876, მესამეში—447 და მეოთხეში—511. სულ ოთხსავე განყოფილებაში—3258 გაკვეთილს. მიზეზი ამისი ყმაწვილების მშობლების სიღარიბეც-იყო; ზოგნი მართლა ისეთი ღარიბები არიან, რომ პურის ყიდვაც უჭირსთ თავიანთ ოჯახისათვის. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ერთმა აქაურმა პატივცემულმა ქართველმა იოსებ გრიგოლის ძე შვილევმა, რომელმაც ხელის მოწერით შეაგროვა 33 მანეთი და ამ ფულით უყიდა ღარიბ შეგირდებს სახალათე მაუდი.

საანგარიშო წელს ბნ-მა თერგის ოლქის საერო სკოლების დირექტორმა გრუშევსკიმ და ინსპექტორმა მოხირმა თითომ ოთხჯერ დაათვალიერეს კავკავის ქართული სკოლა და, როგორც მათ მიერ ჩაწერილს სარევიზიო დავთრიდგანა სჩანს, როგორც დირექტორი, ისე ინსპექტორიც სრულად კმაყოფილი რჩებოდნენ ყმაწვილების სწავლაში წარმატებისა, სკოლაში შემოღებულ წესებისა და სკოლის საქმის წარმოებისა სწავლა-აღზრდის მხრით.

წელს „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობისაგან კავკავის ქართულ სკოლის დათვალიერება მინდობილი ჰქონდა გამგეობის წევრს ბ-ნს ექვთიმე თაყაიშვილს, მაგრამ, რადგანაც ბ-ნი თაყაიშვილი არ მოვიდა, იმავე გამგეობამ სკოლის დათვალიერება მიანდო აქაურ სამზრუნველო კომიტეტის წევრს, სკოლის მზრუნველს, ტ. ბ. კახიძეს, რომელმაც მოახდინა ეგზამენები ყველა განყოფილებაში ზოგიერთა აქაურ ქართველ მასწავლებლების და საერო სკოლების ინსპექტორის მოხირის თანადასწრებით. ეგზამენების შემდეგ საჭიროდ დაინახეს ცხრა შეგირდი ყველა განყოფილებიდგან კარგის ყოფა-ქცევისა და სწავლაში წარჩინებისათვის დაესაჩუქრებინათ წიგნებით. მეოთხე განყოფილების შაგირდებმა ყველამ დაიჭირეს ეგზამენი აქაურ სამოქალაქო სასწავლებელში 8 ივნისს და მიეცათ შეღავათიანი მოწმობა სამხედრო სამსახურისათვის. მესამე განყოფილების 8 შაგირდიდგან გადავიდა მეოთხეში—7 და ერთმა ხელახლად უნდა დაიჭიროს ეგზამენი. მეორე განყოფილების 13 შაგირდიდგან გადავიდა მესამეში 10, ორსა ეგზამენი დაენიშნა მომავალ წლისათვის და ერთმაც თავი დაანება სწავლას წარსულ წლის დეკემბერში. პირველ განყოფილების 20 შეგირდიდგან გადავიდნენ მეორეში მხოლოდ 13 ქალი და ვაჟი. ოთხი დარჩა იმავე განყოფილებაში, რადგანაც ვერ იყვნენ რიგიანად მომზადებულნი, და სამმაც შუა წელში დაანება თავი სასწავლებელს. ამა საანგარიშო წელს ქალები, გარდა სხვა საგნებისა, მასწავლებლის ელისაბედ ხოჯევანოვის ხელმძღვანელობით სწავლობდნენ ხელ-საქმეს.

კავკავის ქართულ სკოლის სამასწავლებლო ბიბლიოთეკაში წლის დამდეგს იყო მხოლოდ 36 ცალი ქართული წიგნი. წლის განმავლობაში ხელის მოწერის გამართვით თუ წიგნების შეგროვებით შიემატა 265 ცალი წიგნი; სულ გახდა წლის ბოლოს სამასწავლებლო ბიბლიოთეკაში 301 ცალი წიგნი. საყმაწვილო ბიბლიოთეკაში იყო წლის დამდეგს 38 ცალი წიგნი; მიემატა წლის განმავლობაში—132 წლის ბოლოს შეიქმნა 170 ცალი. ორსავე ბიბლიოთეკაში იყო წლის დამლევს 417 ცალი სხვა-და-სხვა შინაარსის რუსულ-ქართული წიგნი.

სასწავლებელი საზოგადოდ ჯერჯერობით ძალიან ღარიბი არის, როგორც სწავლებაში დამხმარებელ საგნებითა და ნივთებით (пособіе), აგრედვე საკლასო ავეჯეულობითაც, მაგრამ, იმედია, აქაური სკოლის სამზრუნველო კომიტეტი, რომელიც ასე გულმოდგინედ იღვწის სკოლის კეთილ ნიადაგზე დამყარებისათვის, თავის დროზე ამ ნაკლსაც მიაქცევს ჯეროვანს ყურადღებას.

მასწავლებელი კავკავის ქართულ სკოლისა
ლ. ბოცვაძე

19 ივნისი, 1893 წ.
ქ. კავკავი.

## მუშა

(ელიზა ორჟეშკოსი)

(დასასრული *)

წრეულ ვალენტის იმედი ჰქონდა, რომ მთავარ-ანგელოზის **) დღესასწაულამდე ბევრი სამუშავო გაუჩნდებოდა. ყველა გადად-გადმოდიოდა ერთ ადგილიდგან მეორე ადგილს და მუშებზე თითქმის ცილაობა მოსდიოდათ. ვალენტისა და მასთან ხუთ სხვა მუშას ერთ მდიდარ სახლში დაუძახეს. ვალენტიმ ცოტა სუფთად ჩაიცვა, გაიკრიჭა წვერი, რომ კარგი შეხედულობა ჰქონოდა, გაიმართა წელში და თითქო ისეთი გახდა, როგორც ამ ოციოდე წლის წინად იყო. როცა ლაქიამ უთხრა, ნივთები ბევრია, მაგას ექვსი კაცი ვერ გაუძლვებაო, ვალენტი აჯერებდა, მე თითონ სამის მუშის ტოლა შემიძლიანო და მარტოც კარგა მოვახერხებ მაგ ნივთების გადატანასაო. ზალაში ავეჯი მიყრილ-მოყრილი იყო, სარკეები ჩამოღებული იატაკზე, კუთხეში ლამპრები იდგა, სურათები და ფორტეპიანოც შუა ოთახში. ლაქია დარბის, ყვირის, აკეთებინებს და ალაგებინებს აქაურობას!.. დაუწყეს ფორტეპიანს ფეხების ჰახრაკების მოხსნა იმათ, ვინც უფრო მარდი იყო. ვალენტი განზედ იდგა და ელოდა, აბა როდის იტყოდნენ ზურგი და მხარი შეუდგიო; იგი აქეთ-იქით იცქირებოდა, სარკეში იყურებოდა და ხან ხელს უსვამდა ხავერდით გადაკრულს ნივთებს. დაჯდა მერე სკამზე, გაიღიმა, თითქო რაღაც გაეხარდა; სკამიდგან კრესლოზე გადაჯდა... მაგრამ აქ-კი დაუძახეს, ფორტეპიანო მზად იყო წასაღებად.

— ასწი, ნუ გეშინიან!.. დაიძახეს მუშებმა და მძიმე საკრავი გაჩნდა ოთხის მუშის მხარზე. ვალენტი კლავიატურის ქვეშ იდგა და, რადგანაც ყველა მუშებზე დაბალი იყო, მთლად სიმძიმე იმას დააწვა მხარზედ. ფორტეპიანო უცებ ჩააწვა კისერში თავის მჭრელ გვერდით. როგორც უნდოდა დაეძახნა, მიშველეთო, სხვა მუშებმა დაუძახეს: „ასწი, ბებერო, აპირობდი სამის მაგივრობას და აბა ახლა გვაჩვენე, რა შეგიძლიან!.. შენც უნდა ყმაწვილ ბიჭებთან მიიღო ფული!..

ვალენტი გაწითლდა, თვალები სისხლით აევსო, მაგრამ თავის თავს ძალას ატანდა და მიდიოდა წინ. გაიარეს ერთი კარი, მერე მეორე, შემდეგ მესამე და ბოლოს დაეშვნენ კიბეზე. ვალენტი ძლივ-ძლიობით მიდიოდა; ისა გრძნობდა, რომ მუხლები ეხუთებოდა, თვალთ უბნელდებოდა... აი... აი... ველარ ხედავს, აშვერს ხელს, რომ მოეჭიდოს რასმე!.. მხარი გამოუცურდა: ფორტეპიანმა დაჰკრა და... ვალენტისაკენ გრიალი მოიღო კიბეზე... სახლში ერთი ალიაქოთი ასტყდა. იქვე ძირს ეგდო ძვირფასი საკრავი დამტვრეულ-დამსხვრეული. ვალენტის სისხლმა შეღება მშვენიერ კიბის საფეხურები. მანამ გამოიხსნიდენ ვალენტის ფორტეპიანოს ქვეშიდგან, ის უძრავად ეგდო, თვალები დაეხუჭა, სახეზე სიცოცხლის ნიშანიც აღარ ედო, მაგრამ ჯერ ისევ სუნთქავდა.

— ერთი შეხე და!.. კიდევაც რო იკვეხიდა! ნეტა რას ეჩრებოდა! მაგ ბებრუცანამ, კაცო, კინაღამ ყველას კისრები არ დაგვატეხინა!..

— ეგეც შენი მთავარ-ანგელოზობა!

— დეე, ეხლა მოისვენოს, თუნდა ისე, რომ თავის დღეშიაც არ გაიღვიძოს!..

ვალენტი იმ დღესვე მოსულიერდა, მობრუნდა და ბევრი ხანი იცქირებოდა უგონოდ. ვერ გაეგო თუ სად იყო. თევზე თითქო მას რაღაც დასწოლოდა, მძიმე, ვეებერთელა; ყურსაც უგდებდა, თვალებსაც ახელდა, მაგრამ მხედველობა-კი აღარა ჰქონდა, აღარც თუ სმენა: ყურები უბუბუნებდა და თვალებში რაღაც უბჭყრიალებდა. ვალენტიმ დახუჭა თვალები და ხელს უცაცუნებდა საბანს, ბალიშს, შინჯამდა ხელითვე ზეწარს და უკვირდა... აი მოიკრიბა ძალა და ერთხელ კიდევ გაახილა თვალები. ახლა უფრო ცოტა გარჩევითა ხედავდა. ის იწვა დიდ დარბაზში... აქედ-იქით საბან წახურულები იწვნენ.

ვალენტიმ გადახედა თავის მეზობლებს. ერთი ისეთ-ნაირადა ხრიალებდა, თითქო ეგ არის ყელში წაუჭერიათ და არჩობენო; ვალენტის არ შეეძლო მისი ცნობა, დაჭეჭყილი მხარ-თეძო უშლიდა. მეორე მხარეზე შენიშნა ორი შიშველა ფეხი, საბნიდგან გამოყოფილი, ცალიერი ძვლები. ბალიშზე სჩანდა ადამიანის თავი, ჭაღარა შერთული, თხელი ცხვირი და ღრმად ჩაცვივნული თვალები. მეზობელი არა სუნთქავდა, არც იძვროდა, იწვა წყნარად, თითქოს სამთლის ადამიანიაო.

ვალენტი, რაც ძალ-ღონე ჰქონდა, აკვირდებოდა, თითქო იცნო... სადღაც ენახა...

— ეგ ბერიკაცი, ვაიჰ!.. მოედნიდამ არის, მუშების მოედნიდან! .ვალენტის გამოლაპარაკება უნდოდა, ტუჩებიც გაანძრია. მაგრამ თავზედ რაღაც ლააწვა და სიცხემ საშინელის სიმწარით დაურბინა ძვალ-რბილში.

თვალებიც დახუჭა. ცოცხლებიც და მკვდრებიც დარჩნენ შორს, სადღაც, ის-კი... წავიდა თავის ქვეყნისაკენ!.. სამი საფუტკრე სკა, არა ხუთი!.. დღე მზიანია, მინდორ-ველი ამწვანებული. რაღაც ხმაურობაა, ყვავილთა ყნოსვის დამატკბობელი სუნი... თავისუფლება!!. ნატკენ გულში ქვასავით რაღაც აწვება... ვალენტი კიდევა სცდილობს ერთხელ შეისუნთქოს სასწაულთ-მომქმედი ჰაერი... და ყრუდ ჩურჩულობს:

— ახ, ჩემო ფუტკრებო!..

ვას. ბიბილაშვილი

1893 წელს. 20 მაისს.
ქ. გორი:

*) იხ. «ივერია», № 128.

**) ვილნოში პირობები სახლის დაქირავებისა იწერება მთავარ-ანგელოზობამდე (8 გიორგობისთვეს) და ამ დროს არის ხოლმე სახლიდგან-სახლში გადასვლა და ბარგ-ბარხანის ზიდვა.

## უცხოეთი

**ოსმალეთი.** ხონთქარი ცუდ გუნებაზეა და ამას წინად ხომ აღელვებულიც იყო. ხმა გავრცელდა, ვითომც ხონთქრის წინააღმდეგ რავდენიმე წარჩინებული კაცი შეთქმულა; ეს ამბავი გამოაშკარავდა და ხონთქარმაც შეიტყოვო. შეთქმულობაში მონაწილეობა მიიღეს ცეცხლის მქრობ რაზმის აფიცრებმაც, რომელთაგან ორი უკვე დაუპატიმრებიათ და საჩქაროდ შორს სადღაც გაუგზავნიათ გემით, ისე რომ თავის გასამართლებლად სიტყვაც არ ათქმევინესო. გაგზავნეს აგრედვე რავდენიმე მოხელე და ერის-კაციც. სეიდფაშასაც ეჭვის თვალით უყურებენ; რავდენჯერმე სასახლეში დაიბარეს და ჩვენება ჩამოართვეს. ამბობენ, ვილასაც ტყუილად დაუსმენიაო. ხონთქართან დაახლოვებულნი და მის სასახლის მოხელენი შიშობენ, ჩვენც ტყუილად არავინ დაგვასმინოსო; უმეტესი ნაწილი მათის მოსამსახურეებისა ჯაშუშებთაგანია და ჯამაგირს იღებენ საიდუმლო პოლიციისაგან. წარჩინებულ კაცთ და მოხელეებს მთხოვნელებიც-კი ველარ მიუღიათ, ვაი-თუ სხვა რაიმე ეგონოთო და ბრალი დაგვდონო.

სწორედ ესეთი საქმე დაემართა მთავარ-ვეზირს ხონთქრისას ჯევათ-ფაშას. ერთი უცხოელი მისულა სავეზიროში და უთქვამს, მთავარ-ვეზირის ნახვა მინდაო. შეუყვანიათ ვეზირთან და იქ დიდხანს დარჩენილა. როცა უცხოელი გამოსულა და სასტუმროში დაბრუნებულა, იქ თურმე ხონთქრის მოხელე დახვდა და ილდის-კიოსკში მიიპატიჟა, თქვენი ნახვა უნდათო. ჩაჯდა ეტლში მოხელესთან ერთად და სასახლეში წავიდა. იქ ხონთქრის მდივანმა დაწვრილებით ჩვენება ჩამოართვა იმის შესახებ, თუ რა საქმე გქონდა ჯევათ-ფაშასთან და რას ლაპარაკობდითო. იმან უთხრა, რომ ჯევათ-ფაშას, დიდი ხანია, ვიცნობ, სტამბოლზე გამოვიარე და იმის ნახვა მოვისურვეო. მდივანმა თავაზიანად მადლობა გადაუხადა და გზა დაულოცა. მთავარ-ვეზირმაც ცალკე წერილით გაგზავნა სასახლეში მოხსენება უცხოელთან ლაპარაკისა. სულთანმა შეადარა ორთავეს ჩვენება და უთანხმოება ჰპოვა. დაიბარეს ხელ-ახლად უცხოელი და ზრდილობიანად აგრძნობინეს, რომ გუშინდელი ნალაპარაკევი საეჭვოდ მიგვაჩნია და ხონთქრის სურვილს ნუ გალახვალთ, ყველაფერი გულ-ახდილად გვიამბეთო. მაშინ უცხოელმა, მართლა, დაწვრილებით უამბო თურმე. რადგანაც ყოველივე უცხოელის ნათქვამი ჯევათ-ფაშას ჩვენებას ეთანხმებოდა, ხონთქარმა გული დაიმშვიდა და უცხოელი დიდის პატივის-ცემით გაისტუმრა.

## გასართობი

მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო, რომ იტყვიან,—სწორედ ეს არის. მეკლენბურგის საჰერცოგოში (გერმანიაშია) აქამომდე შენახულა მველის-მველი ჩვეულება, რომ ყოველ გაზაფხულზედ მამულის პატრონმა უნდა გაუგზავნოს საჩუქრად თავის გლეხს—მუშას თითო ცხვარი. ეს ჩვეულება ვერაფრად ეჭაშნიკება ზოგიერთა მემამულეს. მაგრამ რა ღონე აქვს,—ჩვეულება სჯულთ უმტკიცესიაო. ხოლო ხერხი სჯობია ღონესა, ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი. აი სწორედ ამ აზრით განსპეტაკებულ-განწმენდილი ბრძანდებოდა ის მემამულე, ვიზედაც მე მოგახსენებთ. უკანასკნელ არჩევნების დროს ამ „კაპატონმა“ გამოუცხადა თავის გლეხებს: ვინც თქვენგანი სოციალისტების კანდიდატს მისცემს კენჭს, იმას ველარ მივართმევ ჩვეულებრივი საჩუქარიო.

როცა დათვალეს კენჭები, აღმოჩნდა, რომ ერთი კენჭი ვიღასაც ჩაეგდო სოციალისტების კანდიდატისათვის.

კატას ფილტვი მიარტყეს, და იმასაც ის უნდოდაო...

ჩვენმა მემამულემ თავგამოდებით დაიძახა: თუ არ გამოაჩინეთ, ვინ ჩააგდო ეს კენჭი, არც ერთს აღარ მოგცემთ „გაზაფხულის საჩუქარსაო“. მაგრამ მაინც არავინა სჩანდა... ან-კი ვინ გამოჩნდებოდა, როდესაც, როგორც შემდეგ გამოაშკარავდა, თვით ამ პატრონსან მემამულეს ჩაეგდო თეთრი კენჭი, ეგებ შარი მოვუდო გლეხებს და ცხვრები მე დამრჩესო.

## დეპეშა

22 ივნისს

**ლონდონი.** დედოფალმა უბოძა მემკვიდრე ცესარევიჩს ორდენი მუხლსაკრავისა.

**ვენა.** რუსეთის პოლკოვნიკი პალიცინი გარდაიცვალა მუნჯაგს 1849 წელს ხოლერით. მის გადმოსვენებას რუსეთში დაესწრებათ, ვითარცა წარმომადგენელი ავსტრიავენგრიისა, ბუდაპეშტელი კორპუსის კომანდირი თავადი ლობკოვიჩი; ყველა ჯარნი ადგილობრივის მეციხოვნეებისა და გონვედები უკანასკნელს სამხედრო პატივსა სცემენ რუსეთის პოლკოვნიკის ნეშტს.

**ბერლინი.** როგორც ამბობს გაზეთი „National Zeitung“-ი, მოკავშირეთა საბჭომ დღევანდელს კრებაზედ გადასწყვიტა, თანხმად სამხედრო და საფინანსო კომისიის აზრისა, სამხედრო კანონ-პროექტი შეუცვლელად დარჩესო.

## ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

მოსვლა ცეცხლის გემების შავსა ზღვაზედ

### ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. ალს.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე სწორე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში; კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

---

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

## ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

### ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ - ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ.

პირველს განყოფილებაში მიიღებიან უეგზამენოდ (7 და 8 წლისა).

II განყოფილებაში შემომსვლელთათვის (8 და 9 წლისა).

1) საღმრთო სჯული.

შემოკლებულნი მოთხრობანი ძველ და ახალ აღთქმიდან (იხილე „დედა-ენა“ მოთხრობანი საღმრთო ისტორიითგან). ლოცვები: დაწყებითი ლოცვა, სამების ლოცვა, ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილს შემდეგ, სულის წმიდის ლოცვა, საუფლო ლოცვა, ლოცვა მეფისა და მამულისათვის.

2) ქართული ენა.

კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვებით გარდმოცემა, ზეპირად ცოდნა იმ ლექსებისა და პასუხის მიგება იმ საუბრობებზედ, რომელნიც მოქცეულნი არიან „დედა-ენის„ მეასე გვერდამდის.

3) რუსული ენა.

ცოდნა იმ სიტყვებისა და ფრაზებისა რომელნიც მოქცეულნი არიან იაკ. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს (Русское слово) ლექსიურ განყოფილებაში.

4) არითმეტიკა.

ყოველ-მხრივ შესწავლა რიცხვებისა 1-დგან 20-დის. ყმაწვილებს უნდა შეეძლოთ: შეერთება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა. უნდა იცოდნენ აგრეთვე ხშირად სახმარებელი ზომები.

III განყოფილებაში შემომსვლელთათვის (9 და 10 წლისა).

1) საღმრთო სჯული.

უმთავრესნი მოთხრობანი ძველისა და ახალის აღთქმისა. ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილს წინ და სადილის შემდეგ, სულის წმიდის ლოცვა, საუფლო ლოცვა, პირველი და მეორე ლოცვა ღვთის მშობლისადმი, ლოცვა მეფისა და მამულისათვის, ლოცვები დილისა და საღამოსი (სახელმძღვანელო გ. იოსელიანისა ლოცვანი მისივე).

2) ქართული ენა.

გარკვევით კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვებით გარდმოცემა იმ მოთხრობებისა, რომელნიც მოთავსებულნი არიან „დედა ენაში“. ეს წიგნი სრულიად შესწავლილი უნდა ჰქონდეს ყველა თავის სავარჯიშოებით.

3) რუსული ენა.

გარკვევით კითხვა და წერა. თარგმნა სავარჯიშოებისა, რომელიც მოთავსებულია „Русское слово-ს პირველს ნაწილში. ამავე წიგნის მეორე ნაწილითგან უნდა ჰქონდესთ შესწავლილი არა ნაკლებ 40-ის მოთხრობისა, ისე რომ ყმაწვილს შეეძლოს ქართულად გადათარგმნა ყოველ სიტყვისა და ფრაზისა; ამას გარდა ყმაწვილს უნდა შეეძლოს ხსენებულ სტატიების შინაარსის გადმოცემა რუსულად როგორც მასწავლებლის კითხვების შემწეობით, ისე მისდა დაუხმარებლადაც.

4) არითმეტიკა.

ყოველ მხრივი შესწავლა რიცხვებისა 1-დან 100-დის და ხშირად სახმარებელის ზომების ცოდნა. ტაბულა ხამრავლებისა (სახელმძღანელო „კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა.“ რ. ჯაჯანაშვილისაგან შედგენილი).

IV განყოფილებაში შემომსვლელთათვის (10 და 11 წლისა).

1) საღმრთო სჯული.

მოთხრობანი ახლისა და ძველის აღთქმითგან, ლოცვები რუსულად და ქართულად. რუსულად: დაწყებითი ლოცვა, ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილის შემდეგ, სულის წმიდის ლოცვა, პირველი და მეორე ლოცვა ღვთის მშობლისადმი, ლოცვა მეფისა და მამულისათვის. ქართულად: დილის ლოცვა, საღამოს ლოცვა, ათი მცნება, სიმვოლო სარწმუნოებისა (სახელმძღვანელო „საღმრთო ისტორია“, გ. იოსელიანისა).

2) ქართული ენა.

გარკვევით კითხვა და გარმოცემა წაკითხულის სტატიებისა თავის სიტყვით. დასახელება სიტყვის ნაწილებისა (სახელმძღვანელო „ბუნების კარი“).

3) რუსული ენა.

გარკვევით კითხვა და წაკითხულის ახსნა ქართულად და რუსულად; ერთის სიტყვის ან ფრაზის მაგივრად მეორე მსგავსის სიტყვის და ფრაზის ხმარება. წერა კარნახით (სახელმძღვანელოდ იხმარება „Родное слово“, годъ второй, საიდგანაც უნდა შესწავლილი ჰქონდეს ყველა პატარა მოთხრობანი დ რამდენიმე ლექსი ზეპირად წიგნის მეასე გვერდამდის). შესწავლილ სტატიების შინაარსის გადმოცემა რუსულად.

4) არითმეტიკა.

საზეპირო და წერით ანგარიში რიცხვებზედ 1—10,000 (ათი ათასამდის); ოთხი უმთავრესი მოქმედება (შეერთება, გამოკლება, გამრავლება ერთ ნიშნოვან რიცხვზედ, გაყოფა ერთ ნიშნოვან რიცხვზედ, ცოდნა გამრავლების ტაბულასი და ხშირად სახმარებელ ზომებისა. რუსულად: ახსნა საზეპირო ამოცანებისა 1—10,000 (ეთიდგან ათი ათასამდის) (სახელმძღვანელოდ „Сбрникъ Ариөметическихъ задачъ“ Евтушевскаго, часть 1).

შენიშვნა: პირველ პროგიმნაზიულ კლასითგან დაწყებული ყველა პროგიმნაზიულ კლასებში მიღებულია საერო განათლების სამინისტროს პროგრამმები. ქართულ ენითგან უნდა იცოდნენ პირველ კლასებში შემოსვლელებმა: 1) გარკვევით კითხვა, წაკითხულის გარდმოცემა თავის სიტყვებით; 2) გრამატიკითგან: მარტივ წინადადების ნაწილები და ეტიმოლოგიითგან სიტყვის ნაწილების გამოცნობა.

---


ისყიდება

ქართულ წიგნის მაღაზიებში:

**ᲑᲐᲛᲑᲐ და ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ**, გამოც. „მეურნის“ რედაქც. . . 15 კაპ.

და მოსე ჯანაშვილის გამოცემანი:

საქართველოს გეოგრაფია, **ᲡᲐᲛᲪᲮᲔ**. . . . . . . . . 25

**ᲐᲚᲕᲐᲓᲒᲘᲜᲔ** . . . . . . . 30

**ᲡᲐᲣᲜᲯᲔ** მე-X საუკუნისა . . . 20

საუნჯე და ალვადგინე ერთად . 40

საქართველოს **ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ** ისტორია . . . . . . . . . 45

საქართველოს **ᲛᲝᲙᲚᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ**. . . . . . . . . 60

**ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ** მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა . . . . . . 40

**ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ** მე-IX—X საუკუნისა . . . . . . . . . 40



## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პრიტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, $12^1/_2$—1 საათამდის, სნეულებანი: საზებრო და დედათ სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.





ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი


## ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნებისშოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—21) ალ. თუთაევი



## რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ᲫᲘᲠᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ 1.000,000 ᲛᲐᲜ.)

ისყიდება 5%-იანი **ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ** I, II, და III სესხისა თითეში **ᲮᲣᲗ-ᲮᲣᲗ ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲡ** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტმეტიც იხადონ თთვე-და-თთვე.

ზეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲡᲐ.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ზეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 ᲙᲐᲞ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—33) აგენტი დ. ქ. თუთაევი.